ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N24

ქ.თბილისი

27 ივლისი, 2018 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
თინათინ ნიბლოშვილი
დათო ჟღენტი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
თარაშ შურღაია
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ილია ჯიშკარიანი
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე
ჯაბა ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მაია ბითაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მაკა ნასრაშვილი;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ კაციტაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ უფროსი თეიმურაზ ბოლოთაშვილი;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი ნინო კვეტენაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ ემატება პიარის მიმართულებას ნახევარი მილიონი ლარი იმ ფონზე, როდესაც სოციალურად დაუცველი ადამიანების კვებაზე გამოყოფილია 1.13 ლარი; ასევე გაუგებარია რატომ იზრდება მერიის ადმინისტრაციის და კულტურის მიმართულების დაფინანსება და რატომ არ იყო ამ მიმართულებით არსებული თანხები საკმარისი; რატომ აკლდება დაფინანსება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს იმ ფონზე, როდესაც ამ მიმართულებით არსებული დაფინანსება ისედაც არასაკმარისია და რომელიც თბილისელებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს; მისი თქმით, ბექა დავითულიანის მიერ პიარის მიმართულებით დაფინანსების გაზრდაზე გაკეთდა განმარტება, რომ ზაფხულში თბილისში მყოფ მოსახლეობას უნდა შევუმსუქოთ ყოფა და განაცხადა, რომ თუ საკრებულოს უმრავლესობას აწუხებს ადამიანების ბედი, უმჯობესია უზრუნველყონ კონდიცირების საკითხის მოგვარება სამარშრუტო ტაქსებში, რომლებითაც გადაადგილდება ათიათასობით მოქალაქე. ლევან ხაბეიშვილისთვის ასევე გაუგებარია, ტაქსის სერვისის მომსახურების მიწოდებისთვის სანებართვო გადასახადის შემოღება, რასაც „ტაქსისტებისთვის ჯიბეში ჩაძრომა“ უწოდა.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები გადავიდნენ წინასაარჩევნო რეჟიმში და მაქსიმალურად იხარჯებიან პოპულიზმში, სიცრუეში და დესტრუქციაში. კულტურის მიმართულებით დაფინანსების გაზრდაზე განაცხადა, რომ კულტურული ღონისძიებები არის საზოგადოების ცხოვრების ნაწილი, რომლების განხორციელებასაც „სიცოცხლე“ შეაქვს თბილისის ცხოვრებაში. ტაქსის სერვისის მომსახურების მიწოდებისთვის სანებართვო გადასახადის შემოღებაზე განაცხადა, რომ „არავინ არ აპირებს არც ერთ ადამიანს ჩაუძვრეს ჯიბეში“, ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი, რომელსაც ითვალისწინებს სატრანსპორტო პოლიტიკის განახლებული ხედვა და რომლის მთავარი მიზანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრიორიტეტიზაცია და მასზე ხელმისაწვდომობის ზრდა. მისი თქმით, ტაქსი ქალაქის იერსახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, თბილისის მოსახლეობა იმსახურებს უსაფრთხო, მოწესრიგებული და კომფორტული გადაადგილების საშუალებას და ამ მიზნის შესრულებას უზრუნველყოფს წარმოდგენილი წესი.

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ ოპონენტების მხრიდან მსგავსი ტიპის გამოსვლები ხაზს უსვამს იმას, რომ ისინი არ არიან „თბილისის მოყვარულები“, რადგან არ შეიძლება არ გაგიხარდეს დედაქალაქის ბიუჯეტის ზრდა 10 მილიონი ლარით, ქართული კულტურის და ფოლკლორის თუ კამერული ორკესტრის კონცერტების ჩატარება. განათლებისა და კულტურის კომისიამ ჯერ კიდევ 2018 წლის ბიუჯეტის მიღებისას გამოთქვა სურვილი ამ მიმართულებით გაზრდილიყო დაფინანსება, წლის განმავლობაში დანაზოგების ან შემოსულობების ხარჯზე.

მარიკა დარჩიამ გაიხსენა ჩერჩილის სიტყვები, რომელიც ომის დროს თქვა ბიუჯეტთან დაკავშირებით, სადაც კულტურის დაფინანსება იყო შემცირებული „რისთვის ვიბრძვით, თუ კულტურას არ დავაფინანსებთ“ და განაცხადა, რომ „ხვალ არც საჭმელი გაგვიჭირდება, არც სასმელი, მაგრამ თუ იდენტობას დავკარგავთ, მაშინ ის სულ აღარ დაგვჭირდება“. სწორედ იმიტომ არის ამ მიმართულებით გაკეთებული აქცენტები, რომ ეს კეთდება ამომრჩევლებისთვის.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი კიდევ იზრდება, რაც მისასალმებელია. განმარტა, რომ ეს არის კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც მოხმარდება დედაქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, რაც მისი თქმით, ოპოზიციონერი კოლეგებისთვისაც მისასალმებელია, თუმცა მათი დღის წესრიგია ისეთი, რომ „ყველაფერი უარყოფითად წარმოაჩინონ". გარდა ამისა, სატენდერო ეკონომიებიდან და დაზუსტებული პროექტებიდან გამოთავისუფლებული თანხები მიემართება კეთილმოწყობის და ეკოლოგიის მიმართულებით. რაც შეეხება პიარის მიმართულებით დაფინანსების გაზრდას, განაცხადა, რომ დღევანდელმა მთავრობამ, თავის თავზე აიღო იმ რეფორმების განხორციელება, რომლებსაც მოჰყვება დიდი ვნებათაღელვა, თუმცა, ისინი დედაქალაქს სჭირდება და სწორედ იმიტომ ხდება ამ ხარჯის გაწევა, რომ ინფორმაცია მივიდეს საზოგადოებამდე, რათა მოსახლეობის მხრიდან იყოს ჩართულობა.

ლილე ლიპარტელიანის თქმით, ცოტა ხნის წინ, პრემიერ-მინისტრი გადადგა იმ მიზეზით, რომ ქვეყანაში აიწია სიღარიბის დონემ, თუმცა UNICEF-ის კვლევების მიხედვით, სიღარიბის დონემ აიწია 2017 წლის ივნისში და ამ ფონზე, წესდება ტაქსის სერვისის მომსახურების მიწოდების გადასახადი მხოლოდ იმიტომ, რომ მოხდეს მათი აღრიცხვა, რადგან პირველი ერთი წლის განმავლობაში, აღნიშნულ რეგულაციას სხვა დანიშნულება არ აქვს. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, ფიქრობენ თუ არა უმრავლესობის წევრები, რომ ამ სიღარიბის ფონზე, ეს არის არასწორად გადადგმული ნაბიჯი, ხოლო თუ ფიქრობენ, რომ ქვეყანაში არსებული ცხოვრების დონე საჭიროებს ევროპული რეგულაციების შემოღებას, მაშინ მიკრო და მაკრო ეკონომიკური პარამეტრები და ხელფასებიც გავზარდოთ ევროპული სტანდარტების შესაბამისად. დააფიქსირა მოსაზრება, რომ აღნიშნული რეგულაციების შემოღება მიმართულია იმისკენ, რომ მოხდეს თვითდასაქმებული ადამიანების აღრიცხვა და მათგან მოსაკრებლის ამოღება. საუბრის ბოლოს, ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის თქმით, მისთვის ერთ ლარად გადაცემული პუშკინის სკვერის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი განკუთვნილია მის საკუთრებაში არსებული სასტუმროს პარკინგისთვის და მიმართა უმრავლესობის წევრებს: „თქვენ გვატყუებთ, აქ მსხდომნი, რომ ეს არის საჯარო პარკინგი, თუ ბატონი ბიძინა ივანიშვილი გვატყუებს".

რამინა ბერაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი კიდევ იზრდება, რაც მისასალმებელია, რადგან ეს აისახება თითოეული თბილისელის კეთილდღეობაზე. ისაუბრა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიმართულებით დაფინანსების შემცირებაზე და განაცხადა, რომ არ შეიძლება მოვლენებს შეხედო მხოლოდ ერთი მხრიდან. აღნიშნული პროგრამის ძველი ვერსია შეიცავდა რისკებს და ხარვეზებს, რის გამოც პროგრამაში შევიდა პირველადი ცვლილებები და ამ საკითხზე მუშაობა გაგრძელდება მომავალშიც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით არსებული თანხა, რომლის ათვისებაც ვერ მოხერხდა, გადანაწილდა კეთილმოწყობის და სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

დათო ჟღენტმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის ზრდა მისასალმებელია, თუმცა უმჯობესი იქნება თუ თანხა მიზნობრივად გადანაწილდება და მოხმარდება თბილისში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას და ერთ-ერთი ასეთია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პროგრამა. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარება თბილისელებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, მიმართა საკრებულოს წევრებს, ერთობლივად იმსჯელონ წესში ისეთი ცვლილებების განხორციელებაზე, რომლებიც უფრო მეტად იქნება მოსახლეობაზე მორგებული. დათო ჟღენტმა ისაუბრა ტაქსების რეგულაციაზე და აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მარჯვენა საჭიანი და სამკარიანი ავტომობილებით ტაქსის სერვისის მომსახურების მიწოდების აკრძალვის შემთხვევაში, უნდა არსებობდეს რაიმე კონკრეტული გეგმა, თუ რა ალტერნატივა შეიძლება იყოს შეთავაზებული ამ ადამიანებისთვის.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ტაქსების რეგულაციები გახდა ორაზროვანი განმარტებების საფუძველი და როდესაც ოპონენტები ამბობენ, რომ ამ წესის მიღებით „ჩვენ ჩვენს მოქალაქეებს ჯიბეში ვუყობთ ხელს“, გავიხსენოთ წინა ხელისუფლების დროს არსებული პრაქტიკა, როდესაც მოქალაქეებს იძულებით უწევდათ საკუთრებაში არსებული ქონების გადაფორმება. მისი თქმით, ტაქსები არის რეგულირებადი სფერო და აუცილებელია მათი როგორც აღრიცხვა, ასევე ქალაქში საერთო სტანდარტის არსებობა, რაც გამომდინარეობს უსაფრთხოების მიზნებიდან. აღნიშნა, რომ წესში არსებული ყველა მოვალეობა მიმართულია მგზავრის უსაფრთხოებასა და კომფორტზე და განაცხადა, რომ ასეთი ტიპის პოზიტიური ნაბიჯების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არის „პოპულიზმი“.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ თბილისის ბიუჯეტისთვის დამატებული 10 მილიონი ლარი არის კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც გათვალისწინებულია კონკრეტული მიზნისთვის და სხვა მიმართულებით ვერ იქნება გამოყენებული. უახლოეს მომავალში თბილისს ეყოლება ასამდე ევროპული ტიპის ავტობუსი, ეტაპობრივად მოხდება მიკროავტობუსების ჩანაცვლება. მისი თქმით, თბილისი უნდა იყოს ევროპული ცხოვრების ტიპის ქალაქი და სწორედ ამისკენ გადადგმული ნაბიჯია ტაქსების რეგულაციების შემოღება.

ოთარ გრიგოლიამ გაიხსენა ოპოზიციის წარმომადგენლის მიერ, ორი დღის წინ, გაკეთებული განცხადება, თითქოს საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი გენ.გეგმის მიხედვით, ქალაქში არსებულ რეკრეაციულ ზონებში გაცემულია მშენებლობის ნებართვები და განაცხადა, რომ გენერალური გეგმა მსგავს მიზანს არ ისახავს და მოუწოდა კოლეგებს, ნუ შეიყვანენ მოქალაქეებს შეცდომაში.

ბექა დავითულიანი გამოხმაურა ლევან ხაბეიშვილის სიტყვებს, რომ თითქოს ბექა დავითულიანის მიერ პიარის მიმართულებით დაფინანსების გაზრდაზე გაკეთდა განმარტება, რომ ზაფხულში თბილისში მყოფ მოსახლეობას უნდა შევუმსუქოთ ყოფა და განაცხადა, რომ მსგავსი არაფერი უთქვამს. მან გააკეთა განმარტება, რომ მოსახლეობის ინფორმირება აუცილებელია და ეხლაც ადასტურებს აღნიშნულს, რადგან ფიქრობს, რომ აუცილებელია საკომუნიკაციო-საინფორმაციო ხარჯების გაწევა, რათა მოქალაქეებმა იცოდნენ, რას აკეთებს მუნიციპალიტეტი და რაში შეიძლება გამოიყენოს შეთავაზებული სერვისები.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ თბილისის ბიუჯეტი იზრდება 10 მილიონი ლარით, რომელიც სრულად იქნება მიმართული თბილისში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისკენ და სამწუხაროა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები არ საუბრობენ ამ სასიკეთო ცვლილებაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის

გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ";

მომხსენებელი: მაია ბითაძე

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: თეიმურაზ ბოლოთაშვილი

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: რუსუდან მირზიკაშვილი

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების" (ს/კ.: 404967087) ლიკვიდაციის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელი: მაკა ნასრაშვილი

6. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქ. N61, ქალაქი თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N6-ში (საკადასტრო კოდი: 01.72.14.065.022, ფართობი: 15254.00 კვ. მ.) სასამართლოს და მისი დამხმარე დანიშნულების ობიექტების (საგენერატორო და არსებული სატრანსფორმატორო ჯიხური) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

7. „ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

8. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგური „ლილო"-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.15.003.089) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

9. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

10. „ქალაქ თბილისში, გ.ჩიტაიას ქ.N17-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკადასტრო კოდ(ებ)ი N01.16.06.006.008.01.507; N01.16.06.006.008.01.508) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპი“ (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი“, ს/კ.: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

12. „ქალაქ თბილისში, ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N147ა-ს მიმდებარედ 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.002.089) აუქციონის განსაკუთრებული პირობის/შეზღუდვის გაუქმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

13. „ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის“ საქართველოს წარმომადგენლობას“ (ს/კ.: 236097326) შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე“.

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები ძირთადად განაპირობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 10 მილიონი ლარის ასახვამ. ასევე, პრიორიტეტების მიხედვით არის გადანაწილებული სატენდერო ეკონომიებიდან გამოთავისუფლებული თანხა და ბიუჯეტში არსებული სხვა რესურსები, რაც შეადგენს დაახლოებით 10 მილიონ ლარს. გაიოზ თალაკვაძემ, დეტალურად, ციფრების მითითებით, ისაუბრა პროგრამებში და ქვეპროგრამებში გადანაწილებული თანხების რაოდენობასა და მიზნობრიობაზე.

ლევან ხაბეიშვილი დაინტერესდა, თუ რა მიზნობრიობით ემატება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას ერთი მილიონი ლარი.

გაიოზ თალაკვაძემ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციისთვის ერთი მილიონი ლარის დამატებასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ ძალაში შევიდა ავტომობილების ტექდათვალიერება, რომლის გავლის შემდეგაც, მერიის ბალანსზე მყოფი ავტომობილების დიდი ნაწილი იქნება ჩამოსაწერი და ზემოთხსენებული თანხით მოხდება ახალი, ჰიბრიდული ტიპის ავტომობილების შესყიდვა, რაც, ფინანსური გათვლების მიხედვით, 2 წელიწადში დადებითად აისახება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მაია ბითაძემ განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციისთვის დამატებული ერთი მილიონი ლარით შეძენილი იქნება ჰიბრიდული ავტომობილები,

რომლების ძირითადი ნაწილით მოხდება ზედამხედველობის სამსახურის ავტომობილების ჩანაცვლება, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ სამსახურს დაემატა არაერთი ფუნქცია, რომლის განხორციელებისთვის საჭიროა ოპერატიული ავტომობილები. ასევე, საჭიროა ოპერატიული ავტომობილები იმ საქალაქო სამსახურებისთვის, რომლების ფუნქციების განხორციელება დაკავშირებულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან, სამართალდარღვევებზე რეაგირებასთან, მებაღეობასთან, დასუფთავებასთან და სხვა სამეურნეო საქმიანობასთან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მაია ბითაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება თბილისის ტერიტორიაზე M1 კატეგორიის ავტომობილებით გადაადგილების სანებართვო პირობებს, ნებართვის გაცემის წესს და მოქმედების ვადას. ტაქსების რეგულირების პირველი ეტაპი ეხება რეგისტრაციის სანებართვო სისტემას, რომლის ფარგლებში, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც თბილისის ტერიტორიაზე ახორციელებს ტაქსის სერვისის მომსახურებას, ეძლევა საშუალება ელექტრონული ბაზის მეშვეობით აიღოს ნებართვა. ხოლო 2019 წლის პირველი იანვრიდან დაიწყება მეორე ეტაპი, რომელიც დაარეგულირებს ავტომობილის ერთიან ვიზუალს, ფერს, ე.წ. სამკარიან ავტომობილებზე ნებართვის გაცემის აკრძალვას და სხვა. აღსანიშნავია, რომ ნებართვის აღების საფასური იქნება ერთჯერადი, ჩვეულებრივი ტიპის ავტომობილებისთვის 100 ლარის ოდენობით; ელექტრომობილების წახალისების მიზნით, აღნიშნული გადასახადი იქნება ნულოვანი; ხოლო ჰიბრიდული ავტომობილებისთვის - 50 ლარი, ხოლო რაიმე სხვა ტიპის დამატებითი დაბეგვრა არ ექნებათ იმ ადამიანებს, რომლებიც განახორციელებენ ტაქსის სერვისის მომსახურებას.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ტაქსის სერვისის მომსახურების მიმწოდებლებს ძირითად ნაწილს მოუწევს 100 ლარის გადახდა და დაინტერესდა, ეს გადასახადი უზრუნველყოფს თუ არა იმას, რომ ტაქსი გახდება ევროპული სტანდარტის. ასევე, საინტერესოა, თბილისის მერი წინასაარჩევნოდ ტაქსის მძღოლებს ჰპირდებოდა თუ არა, რომ ტაქსის სერვისის მომსახურებისთვის დაწესდებოდა ნებართვის აღების გადასახადი 100 ლარის ოდენობით, აიკრძალებოდა მომსახურების მიწოდება მარჯვენა საჭიანი ავტომობილებით და ავტომობილებისთვის დაწესდებოდა ერთი კონკრეტული ფერი. ასევე, საინტერესოა, შეხვდა თუ არა დედაქალაქის მთავრობა ტაქსის მძღოლებს და იცის თუ არა მათი გასაჭირი და პრობლემები.

მაია ბითაძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის მთავარი მიმართულება იყო სატრანსპორტო პოლიტიკა, რომლის მთავარი მიზანია გარემოსდაცვითი და საცობების პრობლემების მოგვარება. აქვე განმარტა, რომ სისტემის დარეგულირება არ ხდება ნებართვის გაცემისთვის გადახდილი 100 ლარით, ეს არის პირველი ნაბიჯი, რომლის საშუალებითაც გაირკვევა, თუ რა რაოდენობის ადამიანი განაგრძობს ამ მიმართულებით საქმიანობას. მაია ბითაძის თქმით, სისტემური და ერთმნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების ქმედებები, რაშიც იგულისხმება ყველა

საჭირო ღონისძიების განხორციელება ერთმანეთის პარალელურად, კერძოდ: ავტომობილების ტექნიკური დათვალიერება, ტაქსების რეგულირება და ზოგადად, სატრანსპორტო პოლიტიკა, რომლის მთავარი მიზანია, რომ ადამიანებმა მაქსიმალურად ისარგებლონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით. რაც შეეხება ადამიანების გაჭირვებას და პრობლემებს, მისი თქმით, დღეს ყველაზე დიდი გაჭირვება და პრობლემა არის ჯანდაცვა, რაც პირდაპირ და ირიბ კავშირშია ჰაერის დაბინძურებასთან და ასევე, ავტოტრანსპორტის ტექნიკური გაუმართაობა, რისი დასტურიც არის ხშირი ავტოსაგზაო შემთხვევები. შესაბამისად, დღეს არის სწორედ ის დრო, რომ ამ მიმართულებით გადაიდგას კომპლექსური ნაბიჯები.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე და მიმართა მაია ბითაძეს, რას არეგულირებს და აწესრიგებს ნებართვის გაცემისთვის გადახდილი 100 ლარი.

მაია ბითაძის თქმით, ზოგადად, როდესაც სახელმწიფო უზრუნველყოფს რაიმე სერვისს, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, დგინდება გარკვეული გადასახადი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გადასახადის დაწესება გამოწვეულია ორი ფაქტორით: პირველი, რომ ადამიანებს ტყუილად არ აეღოთ ნებართვა და მეორე, მუნიციპალიტეტმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, გაიღო გარკვეული ხარჯები ინფორმაციის მიწოდების კუთხით და შეიმუშავა ელექტრონული პროგრამა, რომელიც შესანარჩუნებელია და რეგისტრაციის შემდგომ საჭირო იქნება ბაზების მომზადება.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, დაარეგულირებს თუ არა ამ პრობლემას მხოლოდ და მხოლოდ აღრიცხვა და ამასთან არაფერ შუაშია ავტომობილების ტექდათვალიერება, რომელიც ისედაც აწესრიგებს ამ საკითხს.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ დასმულ შეკითხვებზე გაცემული იყო ამომწურავი პასუხი, თუმცა ოპოზიციის წარმომადგენლებს პასუხი ესმით ისე, როგორც თავად სურთ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ უფროსმა თეიმურაზ ბოლოთაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს „ადგილობრივი მოსაკრევბლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების ასახვას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში. კერძოდ, იზრდება თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის მიღებისთვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობა და ახალასაშენებელი ობიექტისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი საანგარიშო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე გახდება 4 ლარი, რადგან აქამდე არსებული ერთი ლარი იყო არასამართლიანი და არაადეკვატური. წარმოდგენილი ცვლილება ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, რომლის მიხედვითაც მოსაკრებლის ოდენობა დაიანგარიშება მშენებლობის ნებართვის გაცემის, ზედამხედველობის განხორციელების და ექსპლოატაციაში

მიღების პროცესში გაწეული ადმინისტრაციული დანახარჯების შესაბამისად. ასევე, განისაზღვრება კონკრეტული განაკვეთები სხვადასხვა სახის ნაგებობებისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა რუსუდან მირზიკაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით სამრეწველო ზონა 1-ში, სპეციალური ზონალური შეთანხმებით დაშვებულ სახეობას, ემატება „სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი“. ასევე, წარმოდგენილია რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების“ (ს/კ.: 404967087) ლიკვიდაციის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მაკა ნასრაშვილმა და განმარტა, რომ და დაფუძნდა ა(ა)იპ „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“, სადაც ავტომატურად გააგრძელებენ მუშაობას „თბილისის მედიათეკების გაერთიანებაში“ დასაქმებული პირები. ხოლო ამ უკანასკნელის უძრავ-მოძრავი ქონება უკვე გადავიდა ახალ ა(ა)იპ-ს ბალანსზე. შესაბამისად, საჭიროა ა(ა)იპ „თბილისის მედიათეკების გაერთიანების“ ლიკვიდაციის პროცესის დაწყება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქ. N61, ქალაქი თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N6-ში (საკადასტრო კოდი: 01.72.14.065.022, ფართობი: 15254.00 კვ. მ.) სასამართლოს და მისი დამხმარე დანიშნულების ობიექტების (საგენერატორო და არსებული სატრანსფორმატორო ჯიხური) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“

საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალზე დაგეგმილია ქარხნის განაშენიანება, რომელიც აწარმოებს ქირურგიულ ძაფებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგური „ლილო“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.15.003.089) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ ტერიტორიაზე დაგეგმილია სამშენებლო ბლოკის (აირბეტონის) ქარხნის და სასაწყობე კომპლექსის მოწყობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია 6 პოზიცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N12-031818443-03 (სულ 6 პოზიცია, განსახილველად წარმოდგენილია მხოლოდ პირველი პოზიცია), N12-031819057-03 (სულ 9 პოზიცია, განსახილველად წარმოდგენილია მხოლოდ მე-5 პოზიცია), N12-0318207109-03 (4 პოზიცია), რომლებზეც, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, გ.ჩიტაიას ქ.N17-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკადასტრო კოდ(ებ)ი N01.16.06.006.008.01.507; N01.16.06.006.008.01.508) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია უძრავი ქონების გადაცემა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ორი პირისთვის, რომლებიც 10 წელზე მეტია ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. აღსანიშნავია, რომ გადაცემული ქონების სანაცვლოდ, ისინი უარს ამბობენ სახელმწიფოს მიერ მათ მიმართ აღებულ ვალდებულებაზე.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, ზემოთ ნახსენებ ორ პიროვნებას რა მისამართზე ჰქონდა საკუთრება, რომლის სანაცვლოდაც ხდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემა.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობის ზუსტი მისამართი მისთვის არ არის ცნობილი, თუმცა ზემოთ აღნიშნული პირები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ფართებში ცხოვრობენ 10 წელზე მეტია.

ირაკლი ზარქუამ განმარტა, რომ აღნიშნული ხასიათის საკითხების მიმართ მუნიციპალიტეტის მიდგომა არის შემდეგნაირი: კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხოვრობენ ამა თუ იმ მისამართზე, სახელმწიფოს მიერ მათ მიმართ აღებულ ვალდებულებაზე უარის თქმის სანაცვლოდ, პირდაპირი განკარგვის ფორმით, გადაეცემათ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. თუმცა, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დაზარალებულები ამა თუ იმ მისამართზე ცხოვრობენ არახანგრძლივი დროის მანძილზე, ეს მოითხოვს დეტალურ შესწავლას და სასურველია ასეთი საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს თითოეულმა წევრმა და გადაწყვეტილება ერთობლივად და სამართლიანად იქნას მიღებული.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა თავის თავზე აიღო სახელმწიფოს მიერ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებისთვის ვალის გასტუმრება და რა ფორმით გააკეთებს ამას, არის მისი აბსოლუტური დისკრეცია. წარმოდგენილი საკითხიც ეხება სწორედ ვალდებულებათა გაქვითვას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი პირს შეუძლია შეიჭრას და დაიკავოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ ქონება იმ მიზნით, რომ ეს ქონება შემდგომში გადაეცეს საკუთრებაში.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების აღრიცხვა განახორციელა ფინანსთა სამინისტრომ და დაინტერესდა, აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს კოორდინაცია სამინისტროსთან, რათა ორმაგად არ მოხდეს დაზარალებულების დაკმაყოფილება.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტს და ფინანსთა სამინისტროს შორის არის მჭიდრო კოორდინაცია და მუნიციპალიტეტის მხრიდან ხორციელდება ინფორმაციის მკაცრი კონტროლი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპი“ (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი“, ს/კ.: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილება ეხება კომპანიისთვის ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების ვადის გაგრძელებას. კერძოდ, კომპანიას, მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ 30 ლოკაციაზე უნდა განეთავსებინა რეტერატები, თუმცა, რამდენიმე ლოკაციაზე არსებული პრობლემების გამო, ვერ შეძლო აღნიშნული ვალდებულების შესრულება. ამ ეტაპზე ხდება გამიჯვნა და წარმოდგენილია 16 ობიექტის განთავსება 20 აგვისტომდე, ხოლო დანარჩენი ობიექტების - 31 ოქტომბრის ჩათვლით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, ისანი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N147ა-ს მიმდებარედ 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.002.089) აუქციონის განსაკუთრებული პირობის/შეზღუდვის გაუქმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ აუქციონის განსაკუთრებულ პირობად განსაზღვრული იყო ენერგო-ობიექტის განთავსების შეზღუდვა, რის გამოც მესაკუთრე უფლებამოსილებას ვერ ახორციელებდა მართლზომიერად. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიღო აღნიშნული შეზღუდვის მოხსნის გადაწყვეტილება და შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, წარმოდგენილია საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის“ საქართველოს წარმომადგენლობას“ (ს/კ.: 236097326) შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების

მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ 2009 წელს, კორპორაციას „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის“, სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად, საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება, გარკვეული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პირობებით, რომელთა შორის იყო საექთნო სკოლის ჩამოყალიბება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად. თუმცა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ბაზრის კვლევის შედეგად, გადაწყვიტა, რომ დღევანდელ ვითარებაში, ამ პროგრამის შექმნა მიზანშეწონილი არ არის. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია კორპორაციასთან „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის“ გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღნიშნული ვალდებულების ამოღება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 5 დადგენილება და 8 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი